

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2018 წლის 27 დეკემბერის № 01-03/22 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა
(2019-2025 წლები)

შინაარსი

- შესავალი
- უნივერსიტეტის მისია, მომავლის ხედვა და განსაკუთრებული მახასიათებლები
- უნივერსიტეტის მომავლის ხედვა
- განსაკუთრებული მახასიათებლები უნივერსიტეტის SWOT ანალიზი
- სამიზნე ჯგუფი
- მთავარი ღირებულებები
- მიზნები
- სტრატეგიული მიზნები

შესავალი

საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა უშუალოდაა დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. განათლების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც ქვეყნის უკეთეს მომავალზე ზრუნვა და სახელმწიფოს განვითარების ხელშეწყობაა.

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო გლობალური პროცესების განვითარებას, რის ფონზეც პატარა ერებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა ეროვნულმა კულტურულმა ღირებულებებმა და ეთნიკური თუ მოქალაქეობრივი იდენტობის ფაქტორებმა. აღნიშნულთან მიმართებაში განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის წინსვლის, საზოგადოების კეთილდღეობის და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

თავის მხრივ განათლების სისტემა, მათ შორის უნივერსიტეტი, უნდა იყოს მოქნილი, მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი. იგი უნდა პასუხობდეს ერის ისტორიული განვითარების თავისებურებებს და აკმაყოფილებდეს, ზოგადად, განათლების წინაშე არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

უნივერსიტეტის ხედვა

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა სტაბილური განვითარების მქონე, სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის წარმატებაზე ორიენტირებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებად, რომელიც სტუდენტთა განათლებასთან და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ზრუნავს მათი ეროვნული თვითშეგნების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

უნივერსიტეტის მისია

ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, სულიერების ამაღლების და მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების და რელიგიური ტოლერანტობის მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებული მახასიათებლები

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, უნივერსიტეტისათვის გეოგრაფიული ფაქტორი წარმოადგენს განვითარების განსაკუთრებულ პირობას. გეოგრაფიული მდებარეობა აყალიბებს უნივერსიტეტის თავისებურებას და მიმზიდველობას. ზემო აჭარის რეგიონში მდებარე წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აჭარის და საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობას მიიღოს კვალიფიციური უმაღლესი განათლება. უნივერსიტეტი, ასევე, ორიენტირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენლების საქართველოში უმაღლესი განათლების ხელშეწყობაზე. „უნივერსიტეტში სწავლება უფასოა აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, რაც ასევე გამოარჩევს და მიმზიდველს ხდის უნივერსიტეტს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სამიზნე ჯგუფი

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი ორიენტირებულია ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე. იგი ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში მოქმედებს უმაღლესი

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

განათლების პირველი და მეორე საფეხურები. სამომავლოდ უნივერსიტეტი ორიენტირებულია გაზარდოს სამიზნე ჯგუფი და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახადოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხური. ამ მიზნით უნივერსიტეტი მოიზიდავს კვალიფიციურ მკვლევრებს და მეცნიერებს რათა განვითარდეს და შესთავაზოს დაინტერესებულ პირებს სადოქტორო პროგრამები.

მთავარი ღირებულებები

- ობიექტურობა და სამართლიანობა,
- წიგნიერება
- ეროვნული ღირებულებების დაცვა
- კაცთმოყვარეობა

უნივერსიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- კვალიფიციური აკადემიური პერსონალი
- უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტიულობა, რაც გამოიხატება მისი არსებობის 10 წლის მანძილზე 11 საბაკალავრო, 11 სამაგისტრო და 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- უფასო სასწავლო პროცესი;
- უფასო სამჯერადი კვება;
- ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის დაარსება, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით, ასევე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების თანხვედრას;
- უნივერსიტეტისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სიახლოვე, რაც საგანმანათლებლო პრაქტიკის ძლიერი ხელშემწყობი გარემოებაა;
- თანამედროვე საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კადრების განახლება და კურსდამთავრებულთა საკუთარ ბაზაზე დასაქმება;
- სტუდენტთა შემოქმედებითი კლუბების საქმიანობის ხელშეწყობა.

სუსტი მხარეები:

- სამეცნიერო სივრცეში დაბალი ცნობადობა;
- იმიჯისა და ბრენდირების დაბალი დონე;
- სტუდენტური საერთო საცხოვრებლის უქონლობა;
- გასაუმჯობესებელია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- სტუდენტთათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის „ერთი ფანჯრის“ პრინციპის არ ქონა (ერთიანი სტუდენტური სივრცე);
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
- სტუდენტთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა – სპორტის სხვადასხვა სახეობებსა და კლუბებში მათი აქტიური ჩართვა;
- სტუდენტთა თვითმმართველობის გამლიერება.

განვითარების შესაძლებლობები:

- საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება – ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება, მათ შორის ბაკალავრიატში ფიზიკისა და ქიმიის მიმართულებით;
- სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემა;
- დისტანციური საჯარო ლექციებისთვის მაღალი კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიის მოწყობა;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ ინიცირებული პროექტებისა და წინადადებების მხარდაჭერა;

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

- სამეცნიერო შესაძლებლობების ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით;
- რეფერირებად ჟურნალებში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამუშაო სივრცეების მოწყობა
- დისტანციური სწავლების ელემენტების დანერგვა და ხელშეწყობა, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- კურსადმთავრებულებთან ეფექტური კავშირი

რისკები:

- ფინანსური არასტაბილურობის შესაძლებლობა.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის ან/და არსებული გეგმის განახლების ეტაპებია:

1. მოსამზადებელი ეტაპი: ვგულისხმობს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგების ანალიზს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებას. სამუშაო ჯგუფის მუდმივ წევრებად ითვლებიან: რექტორი, აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სტუდენტი. გარდა მუდმივი წევრებისა პროცესში საჭიროებისამებრ ერთვება, ანდა ერთვებიან საკითხით დაინტერესებული სხვა წარმომადგენელი/წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის ვინაობა და კომპეტენციები, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, განისაზღვრება რექტორის ერთიანი ადმინისტრაციული აქტით.
2. კვლევის ეტაპი: ითვალისწინებს საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედი დოკუმენტაციის, რეკომენდაციების შესწავლას და მისი შესაბამისობების განსაზღვრას, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან და დოკუმენტაციასთან მიმართებაში. ამ ეტაპზე განისაზღვრება გასაუმჯობესებელი სფეროები და საკითხები. ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მუდმივი წევრები ასრულებენ შემდეგ სამუშაოს:
 - სტანდარტების, რეკომენდაციებისა და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის შესწავლა;
 - სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სხვა (არასაფაკულტეტო) ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა საჭირო პირებთან;
 - საჭიროების შემთხვევაში პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული გარემოსა და ტენდენციების შესწავლა, პოტენციურ სერვისებზე მსჯელობა და ონოვაციური მიდგომებისა და მეთოდების შემუშავება.
3. დასკვნითი ეტაპი. ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ამზადებს დასკვნას სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობებთან მიმართებაში. ამზადებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც წინასწარ უთანხმებს მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.
4. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. „ტბელის უნივერსიტეტის“ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
5. შესრულების მონიტორინგის ეტაპი. ვგულისხმობს „ტბელის უნივერსიტეტის“ სტრატეგიული გეგმით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამ მიზნით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი ან მისი წარმომადგენელი. ჯგუფის წევრები არიან: ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი, საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი, სტუდენტი. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ასევე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს დასკვნას, და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამის რეაგირებას.

„ტბელის უნივერსიტეტის“ სტრატეგიული განვითარების

შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა

„ტბელის უნივერსიტეტის“ შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის განვითარებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: 1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. 2. სტუდენტური სერვისების განვითარება. 3. ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება. 4 ინტერნაციონალიზაცია.

➤ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერსპექტივების კვლევა და პროგრამების შემუშავება, ამოქმედება;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, შესაბამისი სილაბუსების სრულყოფა, გაუმჯობესება;
- მაღალი კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიის მოწყობა (მულტიმედიური ცენტრის ფუნქციით);
- დისტანციური საჯარო ლექციების პრაქტიკის დანერგვა;
- სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა, კვლევითი პროექტების მომზადება და განხორციელება;
- ახალგაზრდა კადრების, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევრებისა და სტუდენტების ჩართვა კვლევებში. სამეცნიერო საქმიანობისადმი სტუდენტთა ინტერესების გაზრდა;
- საერთაშორისო კონფერენციების განახლება;
- ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა;
- მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.
- კვალიფიციური სამეცნიერო კონტინგენტის მოწვევა ღია – საჯარო ლექციების, მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარების მიზნით;

➤ სტუდენტური სერვისების განვითარება.

- სტუდენტთა კმაყოფილების პერიოდული კვლევა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა;
- სტუდენტური პროექტების ინიცირება და ხელშეწყობა;
- სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გამრავალფეროვნება
- სტუდენტთა შემოქმედებითი და სპორტული აქტივობების ხელშეწყობა.
- სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა.

➤ ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება.

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის და პერიოდიკის პერიოდული შევსება;
- სწავლებაში ელექტრონული რესურსების ჩართვა და გაუმჯობესება;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- აუდიტორიების განახლება კომპიუტერული ტექნოლოგიებით;
- სპორტული დარბაზებისა და სხვა სივრცეების მშენებლობა და აღჭურვა ინვენტარით
- საუნივერსიტეტო სასწავლო ლაბორატორიების განახლება.
- ბიბლიოთეკის ჩართვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში და ელექტრონული კატალოგების შევსება.

➤ ინტერნაციონალიზაცია.

- პარტნიორ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობის ფორმების დაზუსტება;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, მათ შორის ეროვნებით ქართული წარმომავლობის სტუდენტების მოზიდვა;
- აკადემიური პერსონალის გაცვლა;
- ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროექტების მომზადება.